საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-929

24/06/2021

ქ. თბილისი

შპს „ჯორჯიან ენერჯი სოლუშენზის“ ნავთობპროდუქტების საცავის განთავსებაზე (4 200 $მ^3$ ტევადობის, 25 000 ტ ტვირთბრუნვით ნავთობბაზა) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

2021 წლის 2 ივნისს სამინისტროს მომართა შპს „ჯორჯიან ენერჯი სოლუშენზის“ დირექტორის მინდობილმა პირმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2008 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შპს „ეკო ჯორჯიას“ ნავთობპროდუქტების საცავის განთავსებაზე (4 200 $მ^3$ ტევადობის, 25 000 ტ ტვირთბრუნვით ნავთობბაზა; ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია) გაიცა №21 (24.04.2008) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

შპს „ჯორჯიან ენერჯი სოლუშენზის“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2011 წელს შპს „ეკო ჯორჯიამ“ შეიცვალა საფირმო სახელწოდება და ჩამოყალიბდა შპს „ჯორჯიან ენერჯი სოლუშენზის“ სახელით (იგივე საიდენტიფიკაციო ნომრით), რაც დასტურდება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2008 წლის №21 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და საქმიანობის განმახორციელებელს დაეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულება. ამავდროულად ძალადაკარგულად ცხადდება „შპს „ეკო ჯორჯია“-ს ნავთობპროდუქტების საცავის განთავსებაზე (4 200 $მ^3$ ტევადობის, 25 000 ტ ტვირთბრუნვით ნავთობბაზა) გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 6

მაისის №390 ბრძანება, თუმცა იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2008 წლის №21 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დანართის სახით თან დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „ჯორჯიან ენერჯი სოლუშენზის“ ნავთობპროდუქტების საცავის განთავსებაზე (4 200 $მ^3$ ტევადობის, 25 000 ტ ტვირთბრუნვით ნავთობბაზა) გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (დასკვნა №21; 24.04.2008);
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები;
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ეკო ჯორჯია“-ს ნავთობპროდუქტების საცავის განთავსებაზე (4 200 $მ^3$ ტევადობის, 25 000 ტ ტვირთბრუნვით ნავთობბაზა) გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 6 მაისის №390 ბრძანება;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჯორჯიან ენერჯი სოლუშენზს“;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჯორჯიან ენერჯი სოლუშენზის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
9. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი